პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 235 (7546)

10 1983 წ. დეკემბერი. შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

GENS UNA SUMUS

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელი რიგი საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა თბილისის სპორტკომბინატ „დინამოს“ მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი და აღნიშნა, რომ „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებისათვის საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს საქმიანობის სტილი და მეთოდები არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. უაღრესად ცუდად გამოიყენება რესპუბლიკაში არსებული სპორტული ბაზები, რომელთა ხელმძღვანელები საკმაოდ შემოქმედებითად და ინიციატივიანად არ ეწევიან მუშაობას ფიზკულტურითა და სპორტით მეცადინეობაში მშრომელთა და მოსახლეობის ფართო ფენების ჩასაბმელად.

მიღებულ დადგენილებაში დასახულია გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის პრაქტიკული ღონისძიებანი.

ტანვარჯიშში

სამი პირველი ადგილი

მოსკოვში გაიმართა რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საკავშირო ნაკრების სამატჩო შეხვედრა სპორტულ ტანვარჯიშში. ჩვენს გუნდში სხვებთან ერთად მონაწილეობდა ქართველი სპორტსმენი — გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლე, 17 წლის სპორტის ოსტატი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი **ამირან ბერიანიძე** (მწვრთნელი — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ნ. ბახუტაშვილი**). მან 57,15 ქულით გაიმარჯვა აბსოლუტურ პირველობაში და სამი პირველი ადგილი მოიპოვა თავისუფალ ვარჯიშში, რგოლებსა და ძელძე.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

●

ლონდონის მატჩები

7 დეკემბერს ლონდონის სასტუმრო „გრეიტ ისტერნში“ გაიმართა ვ. სმისლოვ-ზ. რიბლის მატჩის მერვე პარტია.

სლავურ დაცვაში მე-9 სვლაზე სმისლოვმა ახალი გაგრძელება გამოიყენა. რიბლი შეეცადა პოზიცია უვნებელეყო იერიშის გაძლიერების გზით, მაგრამ სმისლოვი ენერგიულად თამაშობდა. მან არამცთუ თანაბარი, უკეთესი პოზიციაც კი მიიღო. მიუხედავად ამისა, სმისლოვმა 41-ე სვლაზე თავად შესთავაზა ყაიმი მეტოქეს, სპეციალისტების აზრით, გამოცდილმა დიდოსტატმა შორიდანვე განჭვრიტა, რომ მოსალოდნელ ენდშპილში ყაიმზე მეტს ვერ მიაღწევდა.

აი, თვით პარტიაც:

რიბლი — სმისლოვი

სლავური დაცვა

1. d4 d5 2. c4 c6 3. მc3 მf6 4. e3 g6 5. მf3 კg7 6. კd3 0—0 7. 0—0 კg4 8. h3 კ×f3 9. ლ×f3 ეe8 10. ეd1 ლd6 11. e4 d×e4 12. კ×e4 მbd7 13. a3 მ×e4 14. მ×e4 ლe6 15. b3 b5 16. c×b5 c×b5 17. a4 ლd5 18. a×b5 ლ×b5 19. კf4 მb6 20. ეac1 ეad8 21. კe5 კ×e5 22. ეc5 ლb4 23. ე×e5 მd7 24. ეd5 მფg7 25. h4 მf6 26. მ×f6 e×f6 27. ე×d8 ე×d8 28. h5 ლd6 29. ლe3 g×h5 30. d5 ეd7 31. ლh3 მფh6 32. b4 ეe7 33. ლc3 ეc7 34. ლe3+ მფg7 35. ლf3 ეc4 36. b5 ეg4 37. ლe3 h4 38. ეd4 h5 39. ე×g4+ h×g4 40. ლd4 g3 41. ლ×h4. ყაიმი.

მატჩს ლიდერობს სმისლოვი — 5:3 (+3—1=4). მეცხრე პარტია გუშინ, 9 დეკემბერს გაიმართა.

გ. კასპაროვ—ვ. კორჩნოის მატჩის მერვე პარტია 7 დეკემბერს არ შემდგარა. კორჩნოიმ „ტაიმ-აუტის“ უფლებით ისარგებლა. ეს პარტია დღეს, 10 დეკემბერს გათამაშდება.

შეგახსენებთ, რომ წინაა კასპაროვი — 4:3 (+2—1=4).

ალექსანდრია—ლევიტინა

მეთორმეტე პარტია

8 დეკემბერს დუბნაში ნ. ალექსანდრია — ი. ლევიტინას მატჩში გათამაშდა მეთორმეტე პარტია, რომელიც შესანიშნავად წარმართა ქართველმა დიდოსტატმა — გაიმარჯვა და ანგარიშიც გაათანაბრა — 6:6 (+4—4=4).

ლევიტინამ მესამედ აირჩია ძველინდური დაცვა, მაგრამ პოზიცია მაინც ვერ გაათანაბრა. მე-12 სვლამდე თამაში მიმდინარეობდა მეცხრე პარტიის მსგავსად. შემდეგ ლენინგრადელმა მოჭადრაკემ ახალ გაგრძელებას მიმართა, მაგრამ იგი თავის მე-10 სვლაში ჩაქსოვილ იდეას ვერ დაუკავშირა. მე-15 სვლის შემდეგ კი ალექსანდრიამ შემტევი პოზიცია მიიღო.

ენერგიული თამაშით (მე-19, მე-20 სვლები) ალექსანდრიამ მძაფრი იერიში განავითარა. მალე მან ცენტრში მიიღო ორი გადაბმული გამსვლელი პაიკი, რომელთა „დაოკება“ შავებს არ შეეძლოთ. ლევიტინა ბევრს ფიქრობდა და მძიმე ცაიტნოტში აღმოჩნდა. მან ფიგურა დათმო, მაგრამ წაგებას მაინც ვერ გადაურჩა..

პარტიის მსვლელობა:

ალექსანდრია —ლევიტინა

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. მf3 g6 3. c4 კg7 4. მc3 0—0 5. e4 d6 6. კe2 e5 7. 0—0 e×d4 8. მ×d4 ეe8 9. f3 c6 10. მფh1 a6 11. კg5 h6 12. კh4 მbd7 13. ეc1 მe5 14. ეc2 ლc7 15. კf2 c5 16. მb3 კe6 17. მd5 კ×d5 18. c×d5 ლe7.



19. f4 მed7 20. e5 მe4 21. კf3 მ×f2+ 22. ეc×f2 ეad8 23. მa5 მb6 24. b4 d×e5 25. b×c5 e4 26. d6 ლd7 27. კg4 f5 28. კe2 e3 29. ეf3 მa4 30. c6 ლ×d6 31. ლ×a4 ლd2 32. ლc4+ მფh8 33. მ×b7 ეc8 34. ეd1 ლb2 35. მd6 ეed8 36. მf7+. შავები დანებდნენ.

დღეს გაიმართება მეცამეტე პარტია (დამატებითი მიკრო-მატჩის მესამე პარტია), რომელშიც შავებით ალექსანდრია ითამაშებს.

● ჭადრაკი

ჩაწერილი სვლის ძალა

ვილნიუსში, სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატზე ორ დღეს მიმდინარეობდა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

მხედრების ენდშპილში გურიელს ხუგაშვილთან პაიკი აკლდა, მაგრამ მან ისე ითამაშა, რომ ბოლოს ხუგაშვილს დასჭირდა წინდახედული თამაში ყაიმის მისაღწევად. ახმილოვსკაიამ ადვილად გამოიყენა ზედმეტი ხარისხი პედკოსთან და გაიმარჯვა. კახაბრიშვილი დამარცხდა ერუსლანოვასთან. ჩაწერილი სვლით მუჩნიკმა ისე გააკვირვა ლიტინსკაია, რომ ლვოველი დიდოსტატი დაიბნა და დამარცხდა.

XV ტურში ლიდერების პარტიები დაუმთავრებელი დარჩა. დიდი ინტერესი გამოიწვია გურიელისა და მუჩნიკის შეხვედრამ. ქართველმა დიდოსტატმა თავიდანვე შეუტია მეტოქის პოზიციას, ფიგურაც შესწირა, მაგრამ მუჩნიკმა იგი დროულად დააბრუნა უკან. გურიელმა ინიციატივა შეინარჩუნა და პარტია გადადო.

ძველი მეტოქეების, გაფრინდაშვილისა და ზატულოვსკაიას შეხვედრაში ინიციატივას მსოფლიოს ექსჩემპიონი დაეუფლა. მაგრამ ზატულოვსკაიამ თანდათან გამოასწორა მდგომარეობა. პარტია გადაიდო.

ახმილოვსკაია — ოსტრიის პარტიაც გადაიდო, მაგრამ ბიჭვინთელ დიდოსტატს უკეთესი პოზიცია აქვს.

15 ტურის შემდეგ ლ. მუჩნიკს (ნიკოლაევი) 11,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ნ. გაფრინდაშვილს, ე. ახმილოვსკაიას — 10-10 (1-1), ნ. გურიელს — 6,5 (1).

ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

I ლიგაში

ტალინში მიმდინარეობს სსრ კავშირის I ლიგის ვაჟთა 51-ე ჩემპიონატი. IV ტურში ე. უბილავამ გადადო პარტია ვ. მალანიუკთან, V ტურში კი შეუპოვარი წინააღმდეგობით ყაიმს მიაღწია დიდოსტატ რ. ხოლმოვთან შეხვედრაში. თბილისელ მოჭადრაკეს 1,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

ლიდერობენ დიდოსტატები ი. ბალაშოვი — 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ს. მაკარიჩევი (ორივე — მოსკოვი) და ოსტატი ლ. იურტაევი (ფრუნზე) — 3-3.

ფინიშთან

ხელბურთელთა XVII საერთაშორისო ტურნირზე მორიგი მატჩები გაიმართა.

სსრ კავშირი—ესპანეთი—30:24 (13:10).

დანარჩენი გუნდებისაგან განსხვავებით ძირითადი შემადგენლობით მხოლოდ ორი კოლექტივი — საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები ჩამოვიდნენ თბილისში და ამიტომაც მათმა შეხვედრამ პირველივე წუთებიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. საგრძნობლად დაწინაურებას ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა; ტაბლოზე ხუთჯერ აღინიშნა ფრე. საბჭოთა ხელბურთელების სწრაფ შეტევებს ესპანელები მახვილგონივრული კომბინაციური თამაშით პასუხობდნენ, ამის უნარით გარემარბები (კორშაკევიჩი, შევცოვი), ხოლო მეორეს მხრივ კი შუამარბები (ხოსე ურია და ფეფილიო) გამოირჩეოდნენ. ორმხრივ გამუდმებულ იერიშებში საბჭოთა ხელბურთელების უპირატესობა გამოიკვეთა მხოლოდ ტაიმის მიწურულში, როცა კაუჩიკასმა, კიდიაევმა და ბელოვმა სამი უპასუხო გოლი გაიტანეს და შესვენებამდე გუნდი სამი ბურთით (13:10) დააწინაურეს.

მატჩის მეორე ნახევარში საბჭოთა ნაკრებმა მტკიცედ იგდო ხელთ ინიციატივა. გარემარბებს კარგად აუბეს მხარი შუამარბებმაც (გაგინი, ვასილიევი), დაცვამაც ალღო აუღო ესპანელ ხელბურთელთა „სოლისებურ“ შეტევებს, მეკარეებიც საიმედოდ იცავდნენ კარს. ყველაფერმა ამან გამარჯვების სასწორი საბჭოთა გუნდის მხარეს გადახალა.

საქართველო — იუგოსლავია — 21:25 (11:14).

იუგოსლავიელი ხელბურთელების, ტურნირის ამ მუდმივ მონაწილეთა შემადგენლობა თითქმის ყოველ წელს იცვლება. არც წლევანდელი ტურნირია გამონაკლისი. იუგოსლავიის ნაკრები თბილისში ძლიერი შემადგენლობით არ ჩამოსულა. მოთამაშეთა საუკეთესო ნაწილი ქვეყნის ღირსებას იცავს ფინეთში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. მიუხედავად ამისა, ნაკრებს ტრადიციული თამაშის ხელწერა შენარჩუნებული აქვს — იმპროვიზირებული თამაში ცრუ მოძრაობებით, სწრაფი გადაცემები და, რაც მთავარია, მოედანზე თითოეული მოთამაშის დიდი შრომისუნარიანობა. დღევანდელ გუნდში „ვარსკვლავები“ არ არიან, მაგრამ არის კოლექტივი, რომელშიც ყოველ მათგანს შეუძლია იყოს „პირველი ვიოლინო“. და აი, მასპინძლებთან მატჩში ეს იოვაჩიჩმა იკისრა. და ბრწყინვალედაც გაართვა თავი. მან თავის კარის მისადგომებთან არა მარტო გამოთიშა თამაშიდან თბილისელთა ლიდერი ანპილოგოვი, არამედ მეტოქის კარში 10 გოლი გაიტანა და გუნდი გამარჯვების რწმენით აღავსო.

მხოლოდ პირველი 10 წუთის მანძილზე შეძლეს ქართველმა ხელბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობის გაწევა, ამაზე თვით ანგარიშიც მეტყველებს — 2:2, 3:3, 4:4. შემდეგ მასპინძელთა გაუმართლებელმა ტყორცნებმა, არაზუსტმა გადაცემებმა, დაცვის რიგებში არაორგანიზებულმა თამაშმა იუგოსლავიელებს ანგარიშში დაწინაურების საშუალება მისცა. ეპიზოდებში ტაბიძის, დ. აბესაძის, ნავროზაშვილისა და განსაკუთრებით მეკარე კომახიძის თავგანწირვამ საქმეს ვერ უშველა. მეტოქე ამ მატჩისათვის ტაქტიკურადაც და ტექნიკურადაც უფრო მომზადებული აღმოჩნდა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

ჩვენი მიზანი არ არის ამ მატჩის ძირფესვიანად გარჩევა, მაგრამ ერთ საკითხზე მაინც უნდა შევჩერდეთ. ამ ტრადიციულ ტურნირში ერთვნული ნაკრებები მონაწილეობენ და არასწორი იქნება საქართველოს ნაკრებს, ფაქტიურად თბილისის „ბურევესტნიკის“ საკლუბო გუნდს, მათთან შეხვედრებში მხოლოდ გამარჯვება მოვთხოვოთ. მაგრამ გვინდა კარგად თამაშობდეს, ისე როგორც იგი გასულ წლებში ამავე ტურნირებში თავისივე სიძლიერის გუნდებთან თამაშობდა. იუგოსლავიელთა დღევანდელი გუნდიც ხომ სწორედ ასეთი გახლავთ.

უდავოა, რომ მასპინძლები დაქანცა წინა დღეს საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ჩატარებულმა მატჩმა, რასაც მთელი ძალ-ღონე შეალიეს. მაგრამ ეს გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება. გუნდში ხომ 14 მოთამაშეა!

იუგოსლავია — ესპანეთი — 25:22 (16:9).

მატჩის პირველი ნახევარი იუგოსლავიელებმა დიდი აღმავლობით, მაღალ ტემპში ჩაატარეს. შედეგიანი იყო მათ მიერ შესრულებული პირველი შეტევებიც და მრავალსვლიანი კომბინაციებიც, დაცვა გამოირჩეოდა ურთიერთდაზღვევით და მეკარის საიმედო თამაშით. ესპანელებმა, რომლებმაც წინა დღეს საბჭოთა ნაკრებთან საუკეთესო ხელბურთი გვიჩვენეს, ვერაფერი მოუხერხეს ბრწყინვალედ მოთამაშე მეტოქეს და ტაიმი დათმეს — 9:16. სამაგიეროდ მეორე ნახევარში გააქტი-

(დასასრული მე-4 გვ.)

საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ განიხილა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ჩოგბურთელთა ნაკრების გამოსვლის შედეგები.

როგორც ცნობილია, სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები VI ადგილზე გავიდა. ასეთი ცუდი მაჩვენებელი ჩვენს გუნდს არც ერთ სპარტაკიადაზე არ ჰქონია. ამჯერად ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები დაკომპლექტებული იყო 7 დინამოელით, 2 განთიადელითა და თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის 1 სპორტსმენით. ნაკრებში არ იყო არც ერთი სპორტსმენი რესპუბლიკის რაიონებიდან. გუნდს ამზადებდნენ ნ. მძინარიშვილი (უფროსი მწვრთნელი), მ. კლდიაშვილი (კონსულტანტი), ა. ივანოვა, ე. ერმოლოვა, ვ. გოგლიძე, ა. ხუციშვილი და ვ. ლაბუნსკი. მზადების გეგმის შესაბამისად ნაკრების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 19 შეჯიბრებაში. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, მოსამზადებელ პერიოდში ადგილი ჰქონდა უარყოფით ფაქტორებს, რომლებმაც გავლენა იქონია სასწავლო პროცესზე, გუნდის საბოლოო შედეგებზე. ინდივიდუალურ გეგმას ვერ ასრულებდნენ ქ. პეტროსიანი (თებერვალში მიღებული ფეხის ტრავმის გამო) და გ. ილერდაშვილი (სისტემატურად აცდენდა ვარჯიშებს, სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს). სპარტაკიადის დღეებში ავად გახდნენ მ. მალაციძე და ლ. მესხი, რომლებმაც ვერ იასპარეზეს საკვანძო შეხვედრებში.

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრების გამოსვლა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე ჩათვალა დამაკმაყოფილებლად. რესპუბლიკაში ჩოგბურთის განვითარებისთვის სუსტი მუშაობისთვის მიეთითათ სპორტთამაშობათა განყოფილებას, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტებს, სპორტსაზოგადოებებს და უწყებებს. მათვე დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რესპუბლიკის ნაკრებისთვის კანდიდატების მომზადებას, აამაღლონ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დონე. პერსპექტიულ სპორტსმენებს შეუქმნან კარგი პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის. აღინიშნა, რომ ამ მხრივ უნდა გააუმჯობესონ მუშაობა განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებმა, განსაკუთრებით იზრუნონ ახალი ტალანტების გამოვლენისთვის, მათი დაოსტატებისთვის, რათა მაქსიმალურად მაღალ შედეგებს მიაღწიონ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, ღირსეული ცვლა მოუმზადონ რესპუბლიკის მოზრდილთა ნაკრებს.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკომიტეტმა მიიღო დადგენილება, სადაც მოცემულია რესპუბლიკაში ჩოგბურთის განვითარებაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ფართო პროგრამა.



დ. იოსელიანი 70 წლისაა

მოქალაქეობრივი ვალი

სამამულო ომის მე-3 წელი იყო. მოტომსროლელთა საგანგებო ბრიგადის სამი მებრძოლი ბელორუსიის ტერიტორიაზე, კლიჩევსკის ტყეში ფრთხილად მიიკვლევდა გზას. ბრიგადის თითქმის ყველა წევრი სპორტსმენი იყო და მტრის ზურგში საგანგებო-დივერსიულ საქმიანობას ეწეოდნენ. სამეულიც წარსულში ცნობილი სპორტსმენებისგან შედგებოდა. ერთ-ერთი მათგანი, ნ. შატოვი, მსოფლიო რეკორდსმენი-ძალოსანი გახლდათ. მის გვერდით სახელგანთქმული ძმები ზნამენსკების მუდმივი მეტოქე, სტაიერი მ. ივანკოვიჩი და კიდევ ახალგაზრდა ბადროს მტყორცნელი ა. ისაევი მიაბიჯებდნენ. უჩვეულო დავალება მიიღეს — მოეძებნათ ყველასათვის ცნობილი სპორტსმენი, რომელიც იმხანად ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმში იბრძოდა. ბრიგადაში თავდაპირველად ამ პარტიზანის შესახებ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ მას ქართული გვარი ჰქონდა, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ ეს მეომარი სანაძლეოზე მეთაურის კარავს გადაახტაო, უყოყმანოდ დაასკვნეს, რომ საძიებელი პიროვნება მხოლოდ მსოფლიო რეკორდსმენი დიმიტრი იოსელიანი უნდა ყოფილიყო, რომელსაც მაშინ უგზოუკვლოდ დაკარგულად თვლიდნენ. მართლაც, სულ მალე ერთ-ერთ პარტიზანულ საგუშაგოსთან ოთხი სპორტსმენი ერთმანეთს ეხვეოდა.

დ. იოსელიანის ცხოვრების ეს საინტერესო ეპიზოდი წიგნში „ფრონტის ხაზს მიღმა" შემავალ ნარკვევში სათაურით — „უგზოუკვლოდ დაკარგული", აღწერა ვ. გორბუნოვამ.

ახლახან სახელგანთქმულ სპორტსმენს და პარტიზანს 70 წლის იუბილე გადაუხადეს.

ლენინის ორდენის კავალერი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ყოფილ პარტიზანთა სექციის თავმჯდომარე, თბილისის ომის ვეტერანთა კომიტეტის წევრი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ეს საპატიო წოდებები თუ თანამდებობები იმაზე მეტყველებენ, რომ დ. იოსელიანი პირნათლად იხდიდა და იხდის მოქალაქეობრივ ვალს.

მსოფლიოს რეკორდსმენი ომის დაწყების მეორე დღესვე ფრონტზე მოხალისედ გაემგზავრა. მანამდე კი იყო სწავლაში, შრომაში და სპორტულ შეჯიბრებებში გატარებული ყრმობის წლები.

დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიბათში. თბილისში გადმოსვლის შემდეგ, ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი, მრავალმხრივი სპორტსმენი გახდა. წარმატებით ასპარეზობდა კრივში და ჭიდაობაში, აკრობატიკაში და ტანვარჯიშში, ძალოსნობაში და ფრენბურთში. 1928 წელს კი მძლეოსნობა სამუდამოდ დამკვიდრდა მის ცხოვრებაში. თავდაუზოგავმა ვარჯიშმა ნაყოფი გამოიღო და მალე რეკორდი რეკორდს მოჰყვა: ჯერ რესპუბლიკური, შემდეგ ამიერკავკასიის, საკავშირო...

1936 წელს დ. იოსელიანი საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად კრემლში მიიწვიეს, სადაც მას, უკვე საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, სპორტული საქმიანობისათვის „საპატიო ნიშნის" ორდენი გადასცეს. აქ მან პირობა დადო, რომ დაამხობდა ამერიკელი ევრის მსოფლიო რეკორდს ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში, რომელიც 347 სმ უდრიდა. ქართველმა მძლეოსანმა დაამტკიცა, რომ ეს განზრახვა ცარიელ ენთუზიაზმზე კი არა, საკუთარი ძალების რწმენაზე იყო დაფუძნებული და მართლაც, სულ მალე რეკორდმა საბჭოთა კავშირში გადმოინაცვლა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საბჭოთა სპორტი წელს იმაგრებდა და ამიტომ თითოეული მსოფლიო რეკორდი ჩვენი ათლეტების მიერ დამყარებული, მოვლენა გახლდათ.

დ. იოსელიანი მალე მსოფლიოს ორგზის რეკორდსმენი გახდა — ადგილიდან 163 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო. არ გაგიკვირდეთ, მაშინ ადგილიდან ხტომა მსოფლიოში ისევე პოპულარული იყო, როგორც გამორბენით.

ნიჭიერ მძლეოსანს არ დასცალდა მორიგი მსოფლიო რეკორდების დამყარება — დაიწყო დიდი სამამულო ომი. ამ ექსტრემალურ პირობებში, როდესაც სამშობლოს ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა, ნათლად გამომჟღავნდა თითოეული ადამიანის ხასიათის სიმტკიცე, ვაჟკაცობა...

— რა გვარი ხარ?! — მერამდენედ უყვიროდა გესტაპოელი მის წინ მდგომ, შავგვრემან, ახოვან ვაჟკაცს, რომლის სხეული გაუთავებელი ცემისა და წამებისგან ერთიან სისხლიან მასად ქცეულიყო.

— პოპლევკო, ალექსი პოპლევკო, მერამდენედ პასუხობდა...

რა არ იღონეს გესტაპოელებმა, დახვრეტის ინსცენირებაც კი მოაწყვეს, მაგრამ მაინც ვერ გაიგეს, თუ ვინ ინიღბებოდა პოპლევკოს გვარით.

გესტაპოს კლანჭებში მოხვედრილთათვის კი ორი გზა არსებობდა: ერთი: თითო-ოროლა სულმდაბალისათვის — მოღალატის, მეორე კი ვაჟკაცური — სიკვდილის. მხოლოდ რჩეულებმა შეძლეს ღირსეულად დაეღწიათ თავი ამ ჯოჯოხეთიდან. ერთ-ერთი მათგანი დ. იოსელიანი გახლდათ. დიახ, ეს „პოპლევკო" ის მსოფლიო რეკორდსმენი იყო, რომელიც აქტიური იატაკქვეშა მუშაობისას დააპატიმრეს.

რამ შეაძლებინა?

ყოველი გმირი სამშობლოს სიყვარულის გრძნობითაა გამორჩეული. სპორტმა კი იოსელიანს უდიდესი ამტანობა გამოუმუშავა. ასეთი ადამიანის გატეხვა წამების ხერხების მდიდარი არსენალით ცნობილმა გესტაპომაც ვერ შეძლო.

...ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ მის მიერ შეგროვილი 30-კაციანი რაზმი პირდაპირ სისხლს უშრობდა ოკუპანტებს: იწვოდნენ საწვავით სავსე მტრის ცისტერნები, ხრამში ეშვებოდნენ იარაღით და ცოცხალი ძალით დატვირთული ვაგონები.

ამონაწერი პარტიზანული რაზმიდან გაცემული დახასიათებიდან:

„დ. იოსელიანი კლიჩევსკის პარტიზანთა ზონაში ქ. ბორისოვიდან მოვიდა, სადაც თავის ჯგუფთან ერთად ფართო იატაკქვეშა მუშაობას ეწეოდა — გაანადგურა მტრის რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი, სალოკომოტივო დეპოში მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის მრავალი ვაგონი და მოწყობილობა. 227-ე პარტიზანულ რაზმთან ერთად სპობდა გერმანულ-საპოლიციო გარნიზონებს, ათავისუფლებდა კლიჩევსკის რაიონს ფაშისტი დამპყრობლებისგან. მებრძოლის პირად ანგარიშზეა აფეთქებული ეშელონი, 460 მოსპობილი ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 7 ტანკი, 10 ავტომანქანა და სხვა საბრძოლო ტექნიკა".

ომის დამთავრების შემდეგ ვალმოხდილი მეომარი თავის საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდა. იოსელიანმა დიდი ამაგი დასდო ქართულ სპორტს. ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ვეტერანებს კარგად ახსოვთ თუ რამდენი ძალა და ენერგია დახარჯა ყოფილმა პარტიზანმა იმისათვის, რომ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტისათვის, ახალი, თანამედროვე კორპუსები აეშენებინათ. იგი წლების განმავლობაში ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო... მისი ხელმძღვანელობით ეს სასწავლებელი კვალიფიციურ მწვრთნელთა სამჭედლო გახდა. ომის შემდგომ წლებში, როდესაც ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ უჭირდა, ფრონტიდან დაბრუნებული სპორტსმენები დ. იოსელიანის მზრუნველობის წყალობით სპორტის ცნობილი სპეციალისტები გახდნენ.

1968 წელს, როდესაც ქართული მძლეოსნობის განვითარება შედარებით შეფერხდა, დ. იოსელიანის თაოსნობით და მეცადინეობით შეიქმნა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა, რომელსაც 15 წელიწადია თვითონვე ხელმძღვანელობს. ამ ხნის განმავლობაში ამ სკოლამ საქართველოს ნაკრებს ბევრი ნიჭიერი მძლეოსანი აღუზარდა.

ამას წინათ დიმიტრი იოსელიანს ბელორუსიიდან საინტერესო წიგნი „პარტიზანული ბელორუსია" გამოუგზავნეს. წიგნის ერთ-ერთ გვერდზე აღბეჭდილია 209-ე პარტიზანული რაზმის საერთო კრება. მებრძოლები ყურადღებით უსმენდნენ სიტყვით გამოსულ თავიანთ პარტორგს. მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ინსტიტუტის აუდიტორიაში, მძლეოსნურ სკოლაში თუ სხვადასხვა კრებებზე დ. იოსელიანს კვლავ შეუნელებელი ყურადღებით უსმენენ. მსმენელებს სჯერათ, რომ ამ ჭირნახული ადამიანისგან ბევრი რამ შეიძლება ისწავლონ.

გ. ჩოჩიშვილი.

• • •

სურათზე: დ. იოსელიანის ერთ-ერთი სარეკორდო ნახტომი.

სიტყვა ენთუზიასტ მწვრთნელზე

თუ საქმე გიყვარს

ათლეტური აღნაგობის, სხარტი და ტემპერამენტიანი ფალავანი დავით მორგოშია უთუოდ ესხომებათ თავისუფალი ჭიდაობის მოყვარულებს. სპორტის ოსტატს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, სხვადასხვა სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს ჩემპიონს და თასის მფლობელს იმითაც უსახელებია თავი, რომ დაუმარცხებია მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავენი — პოლონელი სტანკოვიჩი, ბულგარელი პავლოვი, კუბელი ლებეკი, ოსი ფალავანი ჯანგირ თედეევი და სხვანი.

სამხედრო სამსახურის პერიოდში ის ერთხელ კიდევ გამოვიდა არენაზე: საპრიზო ადგილი დაიკავა ლენინგრადის სპარტაკიადაზე, ლენინგრადის ოლქის ჩემპიონიც გახდა... შემდეგ მშობლიურ წალენჯიხაში დაბრუნდა და თავისი სპეციალობით (იგი სატრანსპორტო გზების ინჟინერია) დაიწყო მუშაობა.

იმხანად წალენჯიხაში არ არსებობდა თავისუფალი ჭიდაობის ტრადიცია. დავით მორგოშიამ გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა ჭიდაობის სექცია. ენთუზიასტს მხარი დაუჭირეს წალენჯიხის სპორტის მესვეურებმა. ჯერ სპორტსკოლის მომცრო ბაზაზე ავარჯიშებდა ჭაბუკ მოჭიდავეებს, შემდეგ კი საკუთარი სახლის ქვედა სართული დაუთმო საჭიდაო დარბაზს, რომელიც მალე ერთ-ერთი საყვარელი თავშესაყრელი ადგილი გახდა წალენჯიხელი ახალგაზრდობისათვის... ამას პრესამ, ტელევიზიამაც მიაქცია ყურადღება. 1982 წელს საქართველოს ტელევიზიის მიერ წალენჯიხის რაიონზე მოწყობილ გადაცემაში ტელემაყურებლებს ენთუზიასტი მწვრთნელის საქმეზეც მოუთხრეს.

დავით მორგოშიამ მართლაც კარგად წარმართა საქმე. საამისოდ მას გამოცდილებაც ჰქონდა (თავის დროზე ცნობილ მწვრთნელებთან — უშანგი ბარნაბაშვილთან, გიორგი როსტიაშვილთან და ნუგზარ გაჩეჩილაძესათან ვარჯიშობდა) და პედაგოგიური ჩვევებიც (დავითი პედაგოგის ოჯახშია აღზრდილი. მამამისი — ცნობილი პედაგოგი კონსტანტინე მორგოშია დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა ამ კუთხეში). თანდათან წარმატებებიც მოვიდა: 1982 წელს დასავლეთ საქართველოს მოსწავლეთა პირველობაში გაიმარჯვა ჯონი გვილავამ, საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა ელგუჯა კვარაცხელია, მანვე წლეულს, მარტში მოსკოვში გამართულ მოსწავლეთა დიდ ტურნირში III ადგილი დაიკავა; სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა მერაბ მოლაშხიამ, პერსპექტიული მოჭიდავეები არიან გ. ძაძამია, გ. მოსიძე, ზ. მიქაია და სხვები.

— მე წილად მხვდა ბედნიერება მევარჯიშა ხალიჩის ისეთი დიდოსტატების გვერდით, როგორებიც იყვნენ ზარიბეგ ბერიაშვილი, შოთა ლომიძე, ნოდარ ხოხაშვილი, ზაურ შეყრილაძე... ძლიერ მომწონდა მათი ჭიდაობის სტილი და ვცდილობ აღსაზრდელებს ჩავუნერგო თითოეული მათგანის გამორჩეული თვისებები — გვითხრა დავითმა.

შეკითხვაზე, თუ რას უთმობს ვარჯიშის დროს მთავარ ყურადღებას, მწვრთნელმა ასე გვიპასუხა:

— ფიზიკური მომზადება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, ჩვენს მთაგორიან რაიონში ჯანმაგარი ბიჭები იზრდებიან. ძირითადად ყურადღებას ვამახვილებ ტექნიკის შეთვისებაზე, ახალგაზრდებს ვასწავლი ნაირგვარ ილეთებს. მაგრამ სპორტსმენისათვის, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი მაინც ხასიათის სიმტკიცეა. სიმართლე უნდა ვთქვა, ამ თვისების უქონლობის გამო პირადად მე ბევრი დავკარგე. განწყობის სპორტსმენს მეძახდნენ, შემეძლო მომეგო ჩემზე გაცილებით ძლიერისათვის და წამეგო შედარებით სუსტ მოჭიდავესთან. დიახ, მთავარია მედგარი ხასიათი. მაგალითისთვის ყოველთვის ვასახელებ ხოლმე ხალიჩის დიდოსტატს ვლადიმერ რუბაშვილს, რომელიც არენაზე გასვლის წინ ყოველთვის ღელავდა (აქვე დავსძენ, რომ ეს ღელვა აუცილებელია სპორტსმენისთვის, ზედმეტი თავდაჯერება არვარგა), მაგრამ ხალიჩაზე გასვლის შემდეგ უშიშრად და თავგამოდებით იბრძოდა წარმატებისათვის. აი, რა თვისება მსურს განვუმტკიცო ჩემს მოსწავლეებს. ვხარობ, როცა ვხედავ როგორ მაღლდება მათი ოსტატობის დონე...

მწვრთნელი ეცნობა მეთოდურ სიახლეებს. მის სამუშაო მაგიდაზე ნახავთ რუსულ და ქართულ ენებზე გამოცემულ მეთოდურ ლიტერატურას, მოწაფეებსაც ურჩევს იკითხონ სპეციალური თუ მხატვრული სპორტული ლიტერატურა, საერთოდ, ზრუნავს მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებაზე. ხელს უწყობს მათი ნიჭისა და უნარის განვითარებას... ახლახან მისი ინიციატივით საჭიდაო დარბაზში მოეწყო ელგუჯა კვარაცხელიას ნახატების გამოფენა.

სწორედ ამიტომ მიაგებენ დიდ პატივს დავით მორგოშიას მისი აღსაზრდელები, ამიტომაც დაიმსახურა ენთუზიასტმა მწვრთნელმა მათი სიყვარული.

ე. ხულორელი.

უეფა-ს თასზე

გასულ ოთხშაბათს შედგა უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრები, რის შედეგად გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტი გუნდები, რომლებიც ევროპის ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მონაწილეთა პარალელურად შეჯიბრებას განაგრძობენ 1984 წლის მარტიდან.

მოსკოვის „სპარტაკისა“ და როტერდამის „სპარტას“ თამაშის შესახებ ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, ფეხბურთის მოყვარულებმა ისიც კარგად იციან, რომ მოსკოვის „სპარტაკი“ პირველი საბჭოთა გუნდია, რომელიც უეფა-ს თასის თამაშების მეოთხედფინალურ ეტაპზე გავიდა.

ამ მატჩში, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა, მოსკოველთაგან ორივე ბურთი გაიტანა სპარტაკელთა ნახევარმცველმა გლადილინმა. შეხვედრის ბოლო, 90-ე წუთზე სპარტაკელთა კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ მეკარე დასაევმა შეძლო „სპარტას“ კაპიტნის ვან გალის დარტყმის მოგერიება.

სპარტაკელებმა თბილისში ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: დასაევი, სოჩნოვი, პოზდნიაკოვი, პოპელნუხა, მილეშკინი, ბუბნოვი, გლადილინი, მოროზოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი.

მოსკოვში გამგზავრების წინ „სპარტაკის“ ხელმძღვანელებმა გვთხოვეს მთელი კოლექტივის სახელით მადლობა გადავუხადოთ თბილისის სპორტულ ორგანიზაციებს კარგი მიღებისთვის, ხოლო მაყურებლებს — აქტიური მხარდაჭერისთვის.

მოგვყავს უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრათა შედეგები:

„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „სპარტა“ (როტერდამი, ჰოლანდია) 2:0 (1:1).

„ანდერლეხტი“ (ბელგია) — „ლანი“ (საფრანგეთი) 1:0 (1:1).

„ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — „რადნიჩკი“ (იუგოსლავია) 2:0 (2:0).

„სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) — „უოტფორდი“ (ინგლისი) 4:0 (3:2).

„ტოტენჰემი“ (ინგლისი) — „ბაიერნი“ (გფრ) 2:0 (0:1)..

„სელტიკი“ (შოტლანდია) — **„ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი)** 1:2 (0:0).

„ინტერი“ (იტალია) — **„ავსტრია“ (ავსტრია) 1:1 (1:2).**

„ლოკომოტივი“ (გდრ) — **„შტურმი“ (ავსტრია)** 1:0 (0:2).

• • •

შენიშვნა: ხაზგასმულია გუნდები, რომლებიც გავიდნენ მეოთხედფინალში. ფრჩხილებში მითითებულია პირველ შეხვედრათა შედეგები.

• • •

სურათებზე: მოსკოვის „სპარტაკისა“ და როტერდამის „სპარტას“ ფეხბურთელთა გუნდების მეორე მატჩის მომენტები.

ა. კოტორაშვილისა და კ. შანიძის ფოტოები.

მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში ციურიხში 7 დეკემბერს გაიმართა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის წილისყრა. ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლის თამაშები დაიწყება 1984 წლიდან, ხოლო ფინალური ტურნირის პირველი მატჩები მექსიკაში შედგება 1986 წლის 31 მაისს.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობას მიიღებს 24 ქვეყნის ნაკრები. მექსიკა, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორი და იტალია, როგორც ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი, უშუალოდ არიან დაშვებული ფინალში. დანარჩენი 22 ადგილი განაწილდა შემდეგნაირად: ევროპა — 12 ადგილი, სამხრეთ ამერიკა — 4, ჩრდილოეთი, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნები — 1, აფრიკა — 2, აზია — 2. კიდევ ერთ საგზურს გაითამაშებენ ევროპის მე-13 გუნდი და ოკეანიის ქვეყნების ტურნირში გამარჯვებული.

წილისყრის სრული შედეგები ასეთია:

ევროპა (12 ადგილი)

I ჯგუფი. პოლონეთი, ბელგია, საბერძნეთი, ალბანეთი.

II ჯგუფი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, შვეცია, პორტუგალია, მალტა.

III ჯგუფი. ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, რუმინეთი, თურქეთი, ფინეთი.

IV ჯგუფი. საფრანგეთი, იუგოსლავია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ბულგარეთი, ლუქსემბურგი.

V ჯგუფი. ავსტრია, უნგრეთი, ჰოლანდია, კვიპროსი.

VI ჯგუფი. სსრ კავშირი, დანია, ირლანდია, შვეიცარია, ნორვეგია.

VII ჯგუფი. ესპანეთი, შოტლანდია, უელსი, ისლანდია.

კომენტარი: მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე ჯგუფებიდან, სადაც გაერთიანებულია 5-5 ნაკრები, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავა 2-2 საუკეთესო გუნდი. პირველ, მეხუთე და მეშვიდე ჯგუფებში, სადაც შედის 4-4 ნაკრები, ფინალის საგზურს მიიღებენ მხოლოდ გამარჯვებულები. მაგრამ ამ ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული გუნდები გაითამაშებენ დამატებით ტურნირს და გამარჯვებული მოიპოვებს მექსიკის ფინალურ ტურნირში თამაშის უფლებას. გარდა ამისა, ამ დამატებით ტურნირში II ადგილზე გასული გუნდი ითამაშებს ოკეანიის ქვეყნების ტურნირის პირველ ადგილზე გასულ გუნდთან და ამ ორი გუნდის შეხვედრაში გამარჯვებული აგრეთვე მიიღებს მექსიკის ფინალის საგზურს.

ამრიგად, ევროპას 12 ადგილი აქვს გარანტირებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და შესაძლოა „ძველი სამყაროს“ მე-13 გუნდმაც მიიღოს მექსიკაში თამაშის უფლება.

სამხრეთ ამერიკა (4 ადგილი)

I ჯგუფი. არგენტინა, პერუ, კოლუმბია, ვენესუელა.

II ჯგუფი. ურუგვაი, ჩილი, ეკვადორი.

III ჯგუფი. ბრაზილია, პარაგვაი, ბოლივია.

ჯგუფებში გამარჯვებულ გუნდებს სამხრეთ ამერიკიდან მექსიკის ფინალში დაემატება კიდევ ერთი გუნდი. ეს იქნება ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული, აგრეთვე I ჯგუფში მესამე ადგილზე გასული გუნდების დამატებით ტურნირში გამარჯვებული ნაკრები.

ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ზონის ქვეყნები (1 ადგილი)

I. ქვეჯგუფი. სალვადორი, პუერტო-რიკო, კანადა, იამაიკა, ანტილის კუნძულები, ამერიკის შეერთებული შტატები.

II ქვეჯგუფი. ბარბადოსი, კოსტა-რიკა, პანამა, ჰონდურასი, გვატემალა.

III ქვეჯგუფი. ტრინიდადი და ტობაგო, გრენადა, ანტიგუა და ბარბუდა, ჰაიტი, სურინამი, ჰაიანა.

მექსიკის ფინალში მონაწილეობის უფლებას მიიღებს მრავალსაფეხურიან ტურნირში გამარჯვებული გუნდი.

აფრიკა (2 ადგილი)

„ა“ ზონა. ეგვიპტე — ზიმბაბვე, კენია — ეთიოპია, მავრიკია — მალავი, ზამბია — უგანდა, მადაგასკარი — ლესოტო, ტანზანია — სუდანი.

„ბ“ ზონა. სიერა ლეონე — მაროკო, ლიბია — ნიგერი, ბენინი — ტუნისი.

„ც“ ზონა. ტოგო — გვინეა, სპილოს ძვლის ნაპირი — გამბია, ნიგერია—ლიბერია, ანგოლა —სენეგალი.

პირველ წრეში თავისუფალი არიან ალჟირის, განისა და კამერუნის გუნდები.

აფრიკის 29 სახელმწიფოს გუნდი მრავალსაფეხურიანი ტურნირის შედეგად გამოავლენს ფინალის 2 მონაწილეს.

აზია (2 ადგილი)

I ქვეჯგუფი. საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ომანი, ერაყი, ლიბანი, კატარი, იორდანია.

II ქვეჯგუფი. კუვეიტი, იემენის არაბეთის რესპუბლიკა, სირია, ბაჰრეინი, ირანი, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

III ქვეჯგუფი. მალაიზია, ნეპალი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი, ინდოეთი, ბანგლადეში, ინდონეზია.

IV ქვეჯგუფი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჰონკონგი, იაპონია, აომინი, ბრუნეი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სინგაპური.

მექსიკის ფინალური ტურნირის 2 მონაწილე გამოვლინდება მრავალსაფეხურიანი ტურნირის ჩატარების შედეგად.

ოკეანია

ავსტრალია, ახალი ზელანდია, ტაივანი, ისრაელი..

გამარჯვებული გუნდი ფინალის საგზურის მოსაპოვებლად უნდა შეხვდეს ევროპის მე-13 გუნდს.

პირველი ბალი

12 ნოემბერს ბერლინში გაიმართა ოლიმპიური თამაშების შესარჩევი მატჩი ფეხბურთში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

მატჩი იმსაჯა სსრ კავშირის მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ. არბიტრი იყო თბილისელი ვ. მიმინოშვილი, მას ეხმარებოდნენ სოხუმელი ა. მილჩენკო და ხარკოველი ი. სერგიენკო.

როგორც ვიცით, ა. მილჩენკო საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია, ვ. მიმინოშვილმა კი პირველი ჩასათვლელი ბალი მიიღო ამ წოდების მოსაპოვებლად.

ფეხბურთი მარჯნის კუნძულებზე

ძნელია წარმოიდგინო ფეხბურთისთვის იმაზე შეუფერებელი ადგილი, როგორიც მალე — მალდივის რესპუბლიკის დედაქალაქია. პაწაწინა მარჯნის კუნძულზე (სიგრძე 1,8 კმ და სიგანე 800 მ) მიჯრით ჩამწკრივებულა საცხოვრებელი, ადმინისტრაციული და სამეურნეო შენობები... აქ ცხოვრობს და შრომობს 50 ათასამდე ადამიანი — ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედი.

მალდიველი ახალგაზრდების სწრაფვა სპორტისკენ, კონკრეტულად ფეხბურთისაკენ განუზომელია. აქაურ მეთევზეთა, მუშათა და მოსამსახურეთა შვილებს სურთ ითამაშონ ფეხბურთი, ძალები მოსინჯონ საერთაშორისო შეხვედრებშიც კი.

ოცნების ფრთების შესხმაში მათ დაეხმარა საბჭოთა მწვრთნელი ა. ბიბიჩევი.

მალეში მხოლოდ ერთი „ეროვნული სტადიონია“, სადაც ადრე კრიკეტს თამაშობდნენ. ახლახან სტადიონის ნაწილი ფეხბურთელებს დაუთმეს და სპორტის მოყვარულებმაც თავად მოაწყვეს მოედანი. ეთნიკური და გეოგრაფიული თავისებურებების გამო ერთხანს ძნელი იყო პერსპექტიული ახალგაზრდების შერჩევა. აქ ნესტიანი, ტროპიკული კლიმატია და აქაურები ვერ უძლებენ ხანგრძლივ ფიზიკურ დატვირთვას, რომელსაც ფეხბურთი მოითხოვს, ადვილად იღლებიან.

და მაინც, ა. ბიბიჩევმა შეძლო ერთის ნაცვლად სამი გუნდი ჩამოეყალიბებინა. ვარჯიშებს დღეში ორჯერ მართავენ. პირველი გუნდი ვარჯიშობს დილის 6 საათიდან, სანამ ულმობელი მზე არ „გაყრის“ სპორტსმენებს სტადიონიდან, მზის ჩასვლის წინ კვლავ იკრიბებიან.

საბჭოთა მწვრთნელი ცდილობს სპორტსმენებს ჩაუნერგოს არა მარტო გამარჯვებისაკენ სწრაფვა, არამედ პასუხისმგებლობის გრძნობა, იმის შეგნება, რომ შეჯიბრებაში თავიანთი სამშობლოს ღირსებას იცავენ. საბჭოთა მწვრთნელის წინადადებით ყოველი მატჩის წინ სრულდება მალდივის სახელმწიფო ჰიმნი.

ეროვნული ნაკრების დაბადების დღედ იქცა 1983 წლის 30 აპრილი. ამ დღეს დედაქალაქის სპორტსმენებმა მატჩი გამართეს ერთ-ერთი ათოლის საკლუბო გუნდთან. ახლა რესპუბლიკაში უკვე მოქმედებს ფეხბურთის ასოციაცია, აპირებენ ფიფა-ში შესვლას, იგეგმება პირველი საერთაშორისო შეხვედრები შრი-ლანკას ფეხბურთელებთან მალეში და საპასუხო შეხვედრა კოლომბოში.

განათლების მინისტრი და დედაქალაქის მერი ხელს უწყობენ სპორტის განვითარებას.

(საკდეხი).

მეოთხედფინალში ითამაშებენ

როგორც ბერნიდან იტყობინებიან, ევროპის საკლუბო თასების გათამაშებათა მეოთხედფინალურ ეტაპებზე საბჭოთა გუნდების მეტოქეები იქნებიან შემდეგი გუნდები: მინსკის „დინამოს“, რომელიც ჩემპიონთა თასზე გამოდის, შეხვდება რუმინეთის დედაქალაქის „დინამო“, ხოლო დონეცკის „შახტიორს“ — თასების თასზე საქმე ექნება პორტუგალიის „პორტოსთან“. უეფა-ს თასზე კი მოსკოვის „სპარტაკის“ მოწინააღმდეგე იქნება ბელგიის „ანდერლეხტი“.

ეს მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 1984 წლის 7 და 21 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინიშთან

დასასრული

ურდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სან ხოსე ურია — ძლიერი ტყორცნის უნარის მქონე შუამარბი. იუგოსლავიელებმა კი პირიქით, ველარ გაუძლეს აღებულ მაღალ ტემპს და უფრო ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდნენ.

შეხვედრის ბოლო წუთებში ესპანელებს შეეძლოთ მატჩის გადარჩენა, მაგრამ პირველი შეტევების დროს სამჯერ (!) ძალზე არაზუსტად ითამაშეს და იძულებული გახდნენ მარცხს შერიგებოდნენ — 22:25.

საქართველო — პოლონეთი — 27:31 (10:16).

ქართველმა ხელბურთელებმა ძალზე პასიურად და დაბალ ტემპში ჩაატარეს მატჩის პირველი ნახევარი. მათი დაცვის რიგები იმდენად არაორგანიზებული იყო, რომ მეტოქის თითქმის ყოველი ტყორცნა შორი მანძილიდან თუ ზონის ხაზიდან გოლით მთავრდებოდა. ვერც მეკარე კომახიძე დაეხმარა თანაგუნდელებს. მღევრის როლი კი მოითხოვდა დიდ ნებისყოფას, რაც მასპინძლებმა ამ დღეს ვერ გამოიჩინეს.

მატჩის მეორე ნახევარს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „ანპილოგოვის ტაიმი“. მან ამ დღეს 13 გოლი გაიტანა, მეორე ტაიმში — მისი და ტაბიძის აქტიურობით ქართველმა ხელბურთელებმა თანდათან შეამცირეს სხვაობა ანგარიშში და ისეთი თამაში აჩვენეს, როგორსაც მათგან ველით. მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და მატჩზე ღრმა კვალი ვერ დასტოვა.

როგორც პირველ დღეს, ამ დღესაც, უკვე წაგებული მატჩის ბოლო 10 წუთი ახალგაზრდულმა შემადგენლობამ ჩაატარა და არც თუ ურიგოდ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეკარე მეტრეველი, რომელმაც რამდენიმეჯერ ოსტატურად იხსნა კარი აშკარა გოლისაგან.

მართალია, მათ 10-წუთიანი მიკრომატჩი მოიგეს (5:3), მაგრამ ამას საერთო ანგარიშზე გავლენა არ მოუხდენია. პოლონელებმა გაიმარჯვეს — 31:27.

დღეს ტურნირის ბოლო დღეა:
15.00 ს. პოლონეთი — საბჭოთა კავშირი.
16.30 ს. საქართველო — ესპანეთი.

ჯ. აბაიშვილი,
საპატიო სპორტის ოსტატი.

გუშინ...

გაიმართა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ორი შეხვედრა: ესპანეთი — პოლონეთი — 25:22 (12:12), სსრ კავშირი —იუგოსლავია — 24:9 (16:4).

საპასუხისმგებლო სეზონის წინ

მძლეოსნობის ოლიმპიურ პროგრამაში 38 სახეობა შედის. მონათესავე სახეობებში მოვარჯიშე სპორტსმენებს მოსამზადებლად განსაკუთრებული პირობები სჭირდებათ. ამიტომაა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები სწორედ დისციპლინების მიხედვით დაყოფილნი, მომავალი სპორტული სეზონისათვის სხვადასხვა ადგილზე რომ ემზადებიან. თბილისში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპრინტერები და თარჯრბენის ოსტატები. ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ წარსულში ცნობილ სპრინტერს, ამჟამად ჩვენი ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთ უფროს მწვრთნელს ვ. საპეიას:

● ამ ბოლო დროს თქვენ საწვრთნელ შეკრებას წელიწადის მიწურულს თბილისში ატარებთ ხოლმე, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

— საკავშირო სპორტკომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით მოკლე მანძილზე რბენის ჩვენმა ოსტატებმა დეკემბერში სამხრეთის რომელიმე ქალაქში უნდა ივარჯიშონ. თბილისი კი ამისათვის პირდაპირ ზედგამოჭრილია. თბილი ჰავაა, შესანიშნავი მანეჟიც გაქვთ.

● როგორ პირობებში ვარჯიშობთ?

— ტურისტულ კომპლექს „უშბის“ დირექცია და რესტორნის თანამშრომლები ზრუნვას არ გვაკლებენ. კარგად გვეხმარებიან საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის მანეჟისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილების მუშაკები. ასე რომ, ყველაფერი რიგზე გვაქვს.

● გუნდზე რას გვეტყვით?

— თუ დააკვირდით, აქ ბევრი ცნობილი სპორტსმენია: ოლიმპიური ჩემპიონების ვ. მარკინის, ვ. კომისოვას, ნ. ჩერნეცკის, ნ. სიდოროვის, ვ. მურავიოვის, მსოფლიო ჩემპიონების ს. ლოვაჩევის, მსოფლიო რეკორდსმენ ა. ამბრაზენეს სახელები რეკომენდაციას არ საჭიროებს. გვჯერა, რომ ჩვენი ნაცადი ოსტატები მომავალშიც გამოიჩენენ თავს. გვყავს პერსპექტიული ახალგაზრდები, მაგალითად ლვოველ სპრინტერ ა. ფედოროვზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ჩვენს ნაკრებში ყველაზე სუსტი რგოლი ქალთა სპრინტია, რომლის გასაძლიერებლად დიდი მუშაობა გვმართებს.

● შეიცვალა თუ არა ვარჯიშის 60-იანი წლების მეთოდიკა ე. ი. რა განსხვავებაა მაშინდელ, როდესაც თქვენ ასპარეზობდით, და ახლანდელს შორის?

— ძალიან ბევრი. გაიზარდა დატვირთვის მოცულობა და ინტენსივობა. ძველი მეთოდებით ახლა ფონს ველარ გახვალ. თუმცა ერთ კომპონენტში ჩემი თაობის სპორტსმენები ახალგაზრდებს ტოლს არ დაუდებდნენ. ამჟამად ზოგიერთ მძლეოსანს, სისწრაფის გამომუშავებით გატაცებულს, ხშირად რბენისა და სხვადასხვა ვარჯიშის შესასრულებლად საჭირო ტექნიკის შესწავლა ავიწყდება. გაუმჯობესდა სპორტსმენთა ვარჯიშისა და დასვენების პირობები. სხვანაირად მძლეოსნები უზარმაზარ დატვირთვებს ვერ გაუძლებდნენ.

● თქვენს გუნდში საქართველოს მხოლოდ ერთი წარმომადგენელია — 400 მეტრზე მორბენალი ა. ალიევი. რით ახსნით ამას?

— უკვე ბანალურად იქცა ის აზრი, რომ ქართველებს, ბუნებით ემოციურ და ტემპერამენტიან ხალხს, სპრინტში უნდა ჰქონდეს წარმატებები, მაგრამ დრო გადის და მდგომარეობა არ იცვლება. ვფიქრობ, ეს თქვენი სპორტსმენების ვარჯიშისადმი უგულისყურო დამოკიდებულების შედეგია. გარდა ამისა, მძლეოსნობა თქვენთან სპორტის არაპოპულარულ სახეობას მიეკუთვნება. რაც შეეხება ალიევს, ვფიქრობ, რომ მას შეუძლია წარმატებით იასპარეზოს ევროპის ჩემპიონატზე დახურულ დარბაზში და ჩვენ 400 მეტრზე მორბენალთა „ოლიმპიურ“ კვარტეტში მოხვდეს.

● ჩვენი რესპუბლიკის მწვრთნელებს თუ უზიარებთ გამოცდილებას?

— რა თქმა უნდა. დეკემბრის შუა რიცხვებში დაგეგმილი გვაქვს მათთან ლექცია-სემინარების ჩატარება. ვისაუბრებთ ნიჭიერ მძლეოსანთა შერჩევის და წვრთნის თანამედროვე მეთოდების შესახებ. ვფიქრობ, ეს სემინარები ყველასათვის სასარგებლო იქნება.

● მომავლის გეგმებზე რას გვეტყვით?

— თბილისში თვის ბოლომდე დავრჩებით, იანვარში კი ჩვენი მძლეოსნები 1984 წლის სეზონის პირველ შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას. ზამთრის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა ევროპის ჩემპიონატი დახურულ დარბაზში.

თ. ხუროძე

• • •

სურათებზე: ვარჯიშობს საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრები (ზემოთ): მსოფლიოს რეკორდსმენი 400 მეტრზე თარჯრბენში ა. ამბრაზენე; ა. ალიევი; სპრინტერ ქალთა საწვრთნელი გარბენი. (ქვემოთ:) საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 400 მეტრზე თარჯრბენში ნ. ფილიპიშინა და მსოფლიოს ჩემპიონი ე. ფეხენკო — გრიუნი; ვარჯიშის შემდეგ; საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ბუხარინა დარიგებას აძლევს ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს 400 და 4X400 მეტრზე რბენაში ვ. მარკინს.

ჯ. კახრაძის და ე. ხუცურაულის ფოტოები.

...„ყველაზე სწრაფი ადამიანი“

უფროსი თაობის სპორტის მოყვარულებს უდავოდ ახსოვთ პირველი სრულმეტრაჟიანი ფერადი ფილმი ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც ჩვენს ეკრანებზე 1962 წელს გამოვიდა. ფილმს ერქვა „დიდი ოლიმპიადა“. იგი ასახავდა 1960 წლის რომის ოლიმპიადის ბატალიებს. ნოველებს შორის, რომლისგანაც ფილმი შედგებოდა, იყო ნოველა სპრინტერულ რბენაზე. 100 მეტრზე რბენაში სტარტისთვის მზადებისა და ფინალური გარბენის კადრებს ახლდა საკმაოდ ექსცენტრული კომენტარები, რომლის ავტორი ჩალისქუდიანი მხიარული მამაკაცი იყო: კომენტარი ასე იწყებოდა:

„მე არმინ ჰარი ვარ. ყველაზე სწრაფი ადამიანი დედამიწაზე!..“

... პირველი ოფიციალური მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში აღინუსხა 1912 წელს, როცა ამერიკელმა დ. ლიპინკოტმა სტოკჰოლმში დისტანცია 10,6-ში დაფარა. ამ რეკორდმა 9 წელს გაძლო. შემდეგ ჩ. პედოკმა 10,4 აჩვენა, ხოლო კიდევ 9 წლის შემდეგ კანადელმა პ. უილიამსმა წამმზომის ისარი 10,3-ზე „გააჩერა“. 1936 წელს ცნობილმა ჯ. ოუენსმა 0,1-ით გააუმჯობესა უილიამსის რეკორდი. და აი, მთელი 20 წელი დასჭირდა ოუენსის მიღწევის გაუმჯობესებას.

მას შემდეგ რაც 1956 წლის აგვისტოში ამერიკელებმა ვ. უილიამსმა და ა. მერჩისონმა 100 მ 10,1-ში დაფარეს, დღის წესრიგში დადგა საკითხი: ვინ იქნებოდა პირველი სპრინტერი, რომელიც მიაღწევდა სანუკვარ ზღვარს — 10,0!

ამ კითხვაზე პასუხს ოთხი წლის ლოდინი დასჭირდა. როგორც იქნა პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ 1958 წლის ევროპის ჩემპიონმა ა. ჰარიმ (გფრ) დისტანცია 10,0-ში გაირბინა. მაგრამ... იქვე მოჰყვა ცნობა, თითქოს ჰარიმ მანძილი ფალსტარტის შემდეგ დაფარა. ახლა უკვე მთელი სპორტული სამყარო ელოდებოდა გფრ-ის სპრინტერის მორიგ გამოსვლას. და იგი შედგა ციურიხის ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში.

1960 წლის 21 ივნისს არმინ ჰარი გამოვიდა ციურიხის სტადიონის სარბენ ბილიკზე: აი, რას ჰყვებოდა იგი ზემოხსენებულ კომენტარში: „ციურიხში მე კვლავ შევძელი მანძილის 10,0-ში გარბენა, მაგრამ მსაჯებმა კვლავ სტარტის წესების დარღვევაში დამდეს ბრალი. ვერაფრით დავაჯერე, რომ სავსებით სწორად ვიღებდი სტარტს. მომიხდა დისტანციის ხელმეორედ გარბენა და შედეგი კვლავ — 10,0. მაშინ კი ყველამ აღიარა ახალი რეკორდი“.

მსგავსი ისტორია გამეორდა რომშიც. ჰარის პირველი სტარტი ფინალში კვლავ არასწორად იქნა მიჩნეული, თუმცა კინოფირის დათვალიერებამ აჩვენა, რომ ყველაფერი წესების მიხედვით მოხდა... დავუბრუნდეთ კვლავ ჰარის კომენტარს: „რომის ფინალში მსაჯი თვალყურს ადევნებდა ყოველ ჩემს მოძრაობას და განმეორებითი სტარტის დროს სასტარტო გასროლაზე უფრო გვიანი რეაგირება მოვახდინე, ვიდრე ეს შემეძლო. ამან საშუალება მისცა ამერიკელ დეივ ზიმს თითქმის დამწეოდა ფინიშზე. მაგრამ მაინც მე გავიმარჯვე. თუმცა სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: მე, არმინ ჰარი, ხომ ყველაზე სწრაფი ადამიანი ვარ დედამიწაზე!“

რომში გამარჯვება დასავლეთგერმანელი სპრინტერის სპორტული კარიერის მწვერვალი გახდა. მოგვიანებით გაზეთები წერდნენ მის სახელთან დაკავშირებულ სხვადასხვა მაქინაციების გამო ჰარის დისკვალიფიკაციის შესახებ, მაგრამ ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც მძლეოსნობასთან და არც „რეაქტიულ“ სპრინტერთან, რომელიც სპორტის მოყვარულებს შორის დარჩა როგორც პირველი ადამიანი, რომელმაც მიაღწია 10-წამიან ზღვარს 100 მეტრზე რბენაში.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე — 07952